ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5186315

ნომერი: AR1786070

თარიღი : 12.11.2020

გაცემის თარიღი : 13.11.2020

გაცნობის თარიღი : 13.11.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის მაცხონაშვილი პ/ნ 57001056465
- საქართველო, ხაშურის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხაშური, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 92

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონის მიხედვით მდებარეობს სატრანსპორტო ზონა, სარეკრეაციო ზონა 2 და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-ში. წარმოდგენილი განთავსების სქემის მიხედვით საპროექტო ობიექტის განთავსებას ითხოვთ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3-ის ნაწილში.
სსზ-3 – განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია სავაჭრო ცენტრები, მოლები და მსგავსი მსხვილი საზოგადოებრივ-კომერციული ობიექტები. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე ასევე დასაშვებია საკულტო შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის, ავტოგასამართი კომპლექსის, ავტოგასამართი და აირგასამართი სადგურების, ასევე საოფისე შენობა - ნაგებობების განთავსება;“.
საპროექტო ობიექტი თქვენს მიერ მოთხოვნილი ფუნქციით_ პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია არ წარმოადგენს ზონისთვის დასაშვებ სახეობას, ასევე წარმოდგენილი ესკი არ შეესაბამება საზოგადოებრივ საქმიან ზონა 3ში დასაშვებ სახეობებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დაკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.